ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 12-127/1

ქ. თბილისი 12.12 2019 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ირინე აბულაძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „5 სტარ სტანდარტ" წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა ბატატუნაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. N66
ტელ: 2372002, 595998800
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" "MIBGGE22"
ა/ნ : GE44PC0323600100005457
საიდენტიფიკაციო კოდი: 405078311

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, ქონების მართვის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს 10.12.2019 წლის N1687315 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჭურჭლის და ყავის ელ მოსადუღებლის **(CPV39200000, 39700000)** შესყიდვა, რომელთა რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 254,15 (ორას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარს.**
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)	Cpv
1	ყავის ელექტრო მოსადულებელი 750 მლ.	1	32.0	32.0	39700000
2	ჩაის ფერის დასაყენებელი ჩაიდანი 800 მლ.	2	34,05	68,1	39200000
3	კერამიკის საშაქრე 270მლ. თეთრი ფერის	1	17,25	17,25	39200000
4	ჩაის ჭიქები ლამბაქით, 230მლ. თეთრი ფერის	12	11,4	136,80	39200000
			ჯამი:	254.15	

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყარო – 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ პროგრამული კოდი 320101)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მისი ფუნქციათა შემრულებელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი ამოწმებს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობას, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მამუკა კოჭლამაზაშვილი.

9. გარანტია

9.1 შემსყიდველისათვის მიწოდებულ ყავის ელექტრო მოსადუღებელზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 3 თვის განმავლობაში.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით (იმავე ან გაუმჯობესებული მახასიათებლებით) ან შეკეთება ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში,

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.4 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

12.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

12.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
მინისტრის პირველი მოადგილე	**დირექტორი**
ირინე აბულაძე	**პაატა ბატატუნაშვილი**

ხელშეკრულების პროექტი მოამზადა:

შესყიდვების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი /ნატალია ბოჭორიშვილი/ ----------

შეთანხმებულია:

შესყიდვების სამმართველოს უფროსი /მიხეილ კახნიაშვილი/ ----------

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე /ნანა ფერაძე/ ----------

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი /მარიამ ტაბატაძე/ ----------

სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან
ურთიერთობის სამმართველოს უფროსი /გიორგი შეშაბერიძე/ ----------

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი /ალექსანდრე მელქაძე/ ----------

ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი /გიორგი გურგენიძე/ ----------

ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი /მამუკა კოჭლამაზაშვილი/ ----------